19/11/2024

MES 1 24 0001486074

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 5/11/2024

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 05 ნოემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ლეშკაშელი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" ასისტენტ-პროფესორი.
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს "საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს" პროფესორი;
8. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლეეევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნათია ზედეგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ემილ ავდალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" პროფესორი;
14. **სალომე კუჭუხიძე** - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ნინო შეყილაძე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. თეონა ხუფენია- რექტორი
2. ზაალ ქორთუა- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
3. ბადრი ნანეიშვილი- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
4. ეკატერინე ანთია-რექტორის მოადგილე
5. ქეთევან ლატარია- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
6. ნინო მაქაცარია - ფაკულტეტის დეკანი
7. დალი ბერანძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
8. რონა პერტია- იურიდიული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართის სამსახურის უფროსი
9. თამრიკო ლუკავა - სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის უფროსი
10. ნათია წიფურია - „ჰორიზონტი ევროპა“ საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისის კოორდინატორი
11. თათია კვარაცხელია- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
12. ჯიმშერ ბერანძე- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
13. დიმა სიჭინავა - IT სამსახურის უფროსი
14. ასმათ შონია-დეკანის მოადგილე
15. ნაზიბროლა ბარამია - საფინანსო სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. **მილან პოლი Milan Pol**
2. **ეკა ლეკაშვილი**
3. **გაგა გვენეტაძე**
4. **გიორგი მელაშვილი**
5. **ხათუნა საგანელიძე**

6. **ნინო ლიპარტია**
7. **ვაჟა კელიხაშვილი**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 13:00 სთ

1. **სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, მილან პოლი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის მნიშვნელოვანი რეგიონული აქტორი. რეგიონულში იგულისხმება არა ის რეგიონი, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთ მისი მნიშვნელობა. მისი თქმით, ეს მნიშვნელობა აისახება როგორც სწავლისა და კვლევის, ისე უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება სხვადასხვა პროფესიული კურსების ფარგლებში. დაწესებულება 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ჰყავს ათასამდე სტუდენტი. დღესდღეობით უნივერსიტეტი ახორციელებს ცხრა აკადემიურ და ოცდარვა პროფესიულ პროგრამას. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წინა ავტორიზაციის შეფასებისაგან განსხვავებით, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ძალიან კარგ შედეგს მიაღწია. მან აღნიშნა, რომ პირველ, მესამე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით უნივერსიტეტი იყო სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა გარე დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მეტად ინტენსიურ თანამშრომლობას სტრატეგიული დოკუმენტაციის დაგეგმვისას. ასევე რეკომენდებული იყო, ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და უფრო მეტად ფუნქციური გეგმის შედგენა აღნიშნული მიმართულებით. გარდა ამისა, რეკომენდაციები გაიცა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, უნივერსიტეტის ფუნქციონალობის სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებთან მეტ მუშაობას, განსაკუთრებით ანტიპლაგიატის მიმართულებით. მისი თქმით, ეს არის ისეთი უნივერსიტეტი, რომლის რესურსები არის ლიმიტირებული, თუმცა მაინც რეკომენდებულია, რომ მან განაგრძოს აქტიურად მაღალკვალიფიციური პერსონალის ძებნა, რომელიც იქნება რეგიონში ბაზირებული. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია კვლევის სტრატეგიის გაუმჯობესებას, კერძოდ, თანამშრომლობის უფრო მეტად გაძლიერების შესაძლებლობას პარტნიორებთან როგორც საზღვარგარეთ, ისე მის შიგნით. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდაცია იყო გაცემული სტაჟირების გაუმჯობესებასა და გარე დაინტერესებული მხარეების სტაჟირებაში მეტ ჩართულობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ექსპერტმა, მილან პოლმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გაცემა არ ნიშნავდა იმას, რომ ეს საკითხები არ ხორციელდებოდა დაწესებულებაში. გაცემული რეკომენდაციების მიზანი იყო მხოლოდ მეტად ინტენსიური მუშაობის ინიცირება. ამრიგად, უნივერსიტეტის შეფასება პოზიტიურია და რეკომენდაციები მიმართული იყო მხოლოდ სამომავლო განვითარებისაკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, თეონა ხუფენია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ეს დღე არის დაწესებულებისათვის დიდი დღე, ვინაიდან, მოქმედ კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორიცელებული ცვლილებების შესაბამისად, დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში ახალი სტატუსით, კერძოდ, უნივერსიტეტის სტატუსით განაგრძობს საქმიანობას. უნივერსიტეტის გუნდმა კვლევითი ნაწილში შეძლო იმისი თქმა, რისი თქმაც სურდა ექსპერტებისთვის. ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა წინა ავტორიზაციის პროცესში, სრულად გაითვალისწინა უნივერსიტეტმა. შესაბამისად, შესრულებულმა რეკომენდაციებმა უნივერსიტეტს მისცა ხარისხის განვითარების საშუალება და დღეს ის 22 პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს სანდო პარტნიორს. დაწესებულების მისია კიდევ უფრო გაფართოვდა და გაიზარდა. მისი თქმით, ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ რეგიონის განვითარებაში, არამედ საქართველოს სტრატეგიული ამოცანის შესრულებაშიც, ვინაიდან უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული სტუდენტები, რომლებიც ინარჩუნებდნენ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან. ინსტიტუციის რექტორის განცხადებით, ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი მისია იყო დაწესებულების მიერ შესასრულებელ დანარჩენ ოთხ მისიასთან ერთად. უნივერსიტეტი განსაკუთრებით მოხარულია იმის გამო, რომ ექსპერტებმა სტუდენტების მხარდაჭერის სტანდარტი სრული შესაბამისობით შეაფასეს. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველა გაცემული რეკომენდაცია იყო დაწესებულების გაუმჯობესებისაკენ მიმართული, რომელიც გააძლიერებდა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ორგანიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, კვლევას და ა.შ. საკითხებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დასკვნიდან ორი რეკომენდაციის ამოღებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა კლინიკური საგნების სწავლებისას მეტი ადგილობრივი პერსონალის ყოლას. მას აინტერესებდა, რა კლინიკური საგნები ისწავლებოდა დაწესებულებაში. დაწესებულების რექტორმა უპასუხა, რომ ეს საკითხი ეხებოდა სამართლის მიმართულებას და ვეტერინარიის პროგრამას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური პასუხი გაეცა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, ვეტერინარიის პროგრამაზე კლინიკური საგნები არ ისწავლება პროგრამის სიახლიდან გამომდინარე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი ფლობდა იმ რესურს, რომ მოწვეულ პერსონალთან ერთად კლინიკური საგნები განეხორციელებინა. საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პლაგიატის დეტექციისთვის რა სისტემას იყენებდა უნივერსიტეტი. დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ პლაგიატის დეტექციისთვის უნივერსიტეტში ხუთი წელია, რაც დანერგილია „Turnitin“-ის პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად ახლდება.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სამართლის პროგრამაზე რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა აკრედიტაციის ექსპერტად და დაწესებულებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი თქმით, ყოველთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დაწესებულება გამოთქვამს სურვილს თანამშრომლობაზე და მზად არის იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყველა რჩევა და რეკომენდაცია გაითვალისწინოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:35
დასრულების დრო: 12:50

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის და დაწესებულების მიერ 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. დაწესებულებამ ცენტრში ანგარიში წარადგინოს ერთ წლის ვადაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 5 ნოემბერს.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ეფექტური შემუშავება და განხორციელება.

რეკომენდებულია, გადაიხედოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ფრაგმენტაციის შემცირების და დეპარტამენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში ზედმიწევნით აისახოს მისია, როლები და პასუხისმგებლობები.

რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებით საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, უფრო მოქნილი შესაძლებლობების შეთავაზებით და სტუდენტების და პერსონალის ჩართულობისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფით.

რეკომენდებულია, თანამედროვე ტექნოლოგიების სრულად გათვალისწინება და გამოყენება, განსაკუთრებით სტუდენტურ და საბიბლიოთეკო რესურსებში, იმის უზრუნველყოფით, რომ როგორც სტუდენტებმა, ისე პერსონალმა იციან და შეუძლიათ დაწესებულების ელექტრონული სისტემების და ინსტრუმენტების გამოყენება.

რეკომენდებულია, გაგრძელდეს მხარდაჭერა და განვითარება აკადემიური ციტირების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ საკომუნიკაციო და ტრენინგ პროგრამების გაუმჯობესება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის და თანამშრომლის სრული ინფორმირებულობა არსებული სტანდარტების და პროცედურების შესახებ.

რეკომენდებულია, "ეთიკის კოდექსში" გათვალისწინებული იყოს სექსუალური გადაცდომის საკითხი და აღნიშნული შემთხვევების მართვის მკაფიო წესები, რაც გააძლიერებს დაწესებულების ვალდებულებას ეთიკის და კეთილსინდისიერების მიმართ.

რეკომენდებულია, გაგრძელდეს მცდელობა, რომ კლინიკური საგნების სწავლებისას უნივერსიტეტს ჰყავდეს მეტი ადგილობრივი პერსონალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მოწვეულ პერსონალზე.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს ინვესტირება მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში, საგანმანათლებლო პროცესის სრული და უწყვეტი მართვის უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის ანგარიშგების მექანიზმების გაძლიერება.

რეკომენდებულია, პერსონალის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულების და პროფესიული განვითარების აქტივობების წახალისების მექანიზმების ჩამოყალიბება.

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ეფექტური ჩართულობა წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები მომზადებულია შესაბამისი წესების, მათ შორის ციტირების წესების დაცვით.

რეკომენდებულია, 2025 - 2028 წლების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის განახლება და მასში უფრო დეტალური, გასაგები და გაზომვადი ინფორმაციის გათვალისწინება.

რეკომენდებულია, პერსონალის უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესების ძალისხმევის გაძლიერება და აღნიშნული გზით კვლევის ინტერნაციონალიზაციის და სწავლების მდგრადობის ხელშეწყობა.

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი წარმოადგენენ საჭირო მონაცემებს და იცნობენ შესაბამის კრიტერიუმებს და

შესრულების ინდიკატორებს იმისათვის, რომ ობიექტურად შეფასდეს და გაიზომოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა.

რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და რესურსების შეთავაზება, იმისათვის, რომ მათ ეფექტურად შეძლონ განიხილონ შემუშავებული კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდებულია, აკადემიური გუნდის ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტში კვლევითი ნაშრომების ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო სტანდარტების შესახებ.

რეკომენდებულია, გაგრძელდეს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების მოძიებაზე და ხელშეკრულებებში აისახოს პარტნიორი დაწესებულების მიერ მისაღები სტუდენტების მაქსიმალური / მინიმალური რაოდენობა.

რეკომენდებულია, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე განხორციელდეს უფრო ინტენსიური და ეფექტური მუშაობა.

რეკომენდებულია, ვებ - გვერდზე განთავსდეს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების და ელექტრონული კატალოგების გზამკვლევი, რაც აპლიკანტებს მიცემს შესაძლებლობას დამოუკიდებლად გამოიყენონ აღნიშნული სერვისები.

რეკომენდებულია, სრულ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გაუმჯობესდეს და განახლდეს უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განახლდეს ფინანსური და აუდიტის ანგარიშები.

რჩევები

სასურველია, მისიაში გათვალისწინებული იყოს უნივერსიტეტში კვლევით აქტივობებზე ახლად წარმოქმნილი ძლიერი აქცენტის ასახვის შესაძლებლობები.

სასურველია, უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის გაუმჯობესება მისი საფუძვლიანი შემოწმებით საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, ასევე რისკების შემცირების და მოქმედებების უწყვეტი პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება.

სასურველია, გაგრძელდეს სტუდენტთა დაგეგმვის მექანიზმების მონიტორინგი და დახვეწა იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაძლებლობებთან და სტრატეგიულ მიზნებთან და უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ ყველა სტუდენტი იღებს მაღალი ხარისხის განათლებას.

სასურველია, კვლევით პროექტებში მეტი სტუდენტის ჩართვა.

სასურველია, დოკუმენტში "სტუდენტური პროექტების წესი" აისახოს შესაბამისი ინფორმაცია.

სასურველია, რეგიონული განვითარების და კვლევის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მახლობელ რეგიონებში არსებულ სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დამყარება.

სასურველია, გაგრძელდეს აქტიური მუშაობა საბიბლიოთეკო კატალოგის და ფონდის დამუშავების მიმართულებით.

სასურველია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ხარჯების ნაწილში, ცალკე მუხლად განისაზღვროს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების დაფინანსება.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 5 ნოემბრის 13:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა